მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2011 წლის 29 აპრილი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 22, პუნქტი ,,1“-ის „ქ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ მუხლი 19^5, პუნქტი 3-ის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 ივლისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 02.08.2011წ.

მუხლი 1

მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1^2 მეტრ მიწაზე–5 ლარით.

2. სხვა უძრავ ნივთებზე – ნივთის საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

3. მოძრავ ნივთებზე – ნივთის საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5% ოდენობით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 ივლისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 02.08.2011წ.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №23- ვებგვერდი, 22.09.2011წ.

მუხლი 2

ამ დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ბ. მიქავა

/საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/

შეტანილი ცვლილებები:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 ივლისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 02.08.2011წ.

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №23- ვებგვერდი, 22.09.2011წ.